გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 19 მაისს.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 31 ამა მაისისათვის გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად გასაცემად ხუთის წლით იჯარით ქალაქის საშენ ქვის ქარხნისა, სახელწოდებით ეკლარისა, რომელიც იმყოფება მახლობლად სოფლის ჩოგნარისა ქუთაისის მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ პირობათა შეტყობა შეუძლიანთ გამგეობაში ყოველ დღე, დილის ათ საათიდგან ორ საათამდინ.

(3—3)


## ქართული თეატრი

—

გაიმართა ხელის-მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის ერნესტო როსსის და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჰმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლიუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კინი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დამნაშავის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.

ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

(10—5)

## ძირითადი უკუღმართობა

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს.
გრ. ორბელიანი.

გაჰქრა ენა? გაჰქრა ხალხიც...
უმინსკი.

(შემდეგი*)

არა გვგონია, რომ ჩვენს მკითხველებს შორის აღმოჩნდნენ იმდენად უბირის გონების პატრონნი, რომ გადაასხვაფერონ ჩვენი სიტყვები და დაგვაბრალონ უცხო ენათა შესწავლის უარ-ყოფა. როდესაც რუსო ქადაგებდა, რომ ყოველი დედა, თუ მას სურს ჯან-მრთელნი შვილნი აღზარდოს, თავის წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს, საკუთარი ძუძუ აწოვოს მათ და მშობლიურის რძით გაზარდოს, ეს, რასაკვირველია, იმას-კი არა ნიშნავდა, რომ ბავშვებს დედის რძას მეტს ნურას მიაკარებთო, არამედ იმასა, რომ ბავშვის ბუნება ჯერ დედის რძით უნდა საზრდოებდეს, იზრდებოდეს და როდესაც საკმარისად შემაგრდება, მაშინ სხვა საჭმლის ძლევაც უნდა დაუწყონ. ყოველი საღის ჭკუის ადამიანი ასე ფიქრობს დედა-ენის შესახებაც. პირველს გონებითს საზრდოს დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა და როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებასა, მაშინ დედა-ენა უნდა გახდეს საძირკვლად, რომელზედაც აშენდება უცხო ენათა გონივრული სწავლება.

ევროპიულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია. კარლემ მეხუთემ, ავსტრიის და ისპანიის იმპერატორმა, რომელიც დიდს კმაყოფილებას ხედავდა ენების შესწავლაში, სთქვა: „როდესაც რომელსამე ახალს ენასა ვსწავლობ, მე ისე ვგრძნობ ჩემს თავს, თითქო ახალი სული მიდგებოდესო“. დიდმა პოეტმა და ბრძენმა გერმანიისამ გიოტემ ამას დაუმატა: „ვინც დედა-ენას გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედა ენა იცისო“. დაწინაურებულნი ევროპიელნი, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი უმდიდრესი ლიტერატურა, რომელთ დედა-ენა სავსეა მრავალის მეცნიერულის თხზულებით, ლიტერატურულ ქმნილებით, და რომელთა კულტურა მიწეულია უმაღლეს ხარისხამდე, ისინიც-კი საჭიროდ რაცხვენ სხვა ევროპიული ენები ისწავლონ. განათლებულნი ფრანცუზნი, ინგლისელები, ნემეცები სცდილობენ ერთმანეთის ენები შეითვისონ და თავის სამშობლო გონებითს საუნჯეს დაუმატონ გონებითი სიმდიდრე თავიანთის განათლებულის მეზობლებისა.

მით უმეტესად საჭიროა ჩვენთვის ევროპიულის ენების შესწავლა, ჩვენთვის, რომელთაც არ შეგვიძლიან დავიკვეხოთ არც მდიდარი ლიტერატურა, არც ფართო მეცნიერება და არც მაღალი კულტურა.. მხოლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარაო. ეს იქნება მეორე უკიდურესი უკუღმართობა, არა ნაკლებად მავნებელი პირველის უკუღმართობისა. ამისი მიუცილებელი შედეგი იქმნებოდა: სილარიბე ქართულთ აზრისა, სილატაკე ქართულთ მეცნიერებისა, სივიწროვე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესისა, წარმატებისა, დამყარება ჩაობურის ცხოვრებისა. ამიტომ ყოველმა მოკეთემ ქართველებისამ დაჟინებით უნდა ურჩიოს მათ: ისწავლეთ რაც შეიძლება ღრმად და ზედ-მიწევნით ევროპიული ენები და სვით ევროპიელი მეცნიერება ხარბად და გაუმაძღრად.. მაგრამ ამასთან არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ევროპიული ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის სამშობლო ენასა და მხოლოდ მას უკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენას. მთელს ევროპაში ამ ჟამად ვერ მოსძებნით მცირე ტომებშიაც იმისთანა პირთა, რომელთაც დედა-ენის უარ-ყოფა და უცოდინარობა არ მიაჩნდეთ მიუტევებელ და ძლიერ მავნებელ დანაშაულად...

რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, მას მრავალ გვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის პირველად სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის, მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით კითვისებთ ევროპიულ განათლებას; მესამედ, იგი არის ენა ფრიად მრავლისა ერისა და მას მიუცილებლად ... თის მსოფლიო ენათაგანის (міровой языкъ) როლი; მეოთხედ, იგი არის ენა ერთ-მორწმუნე ხალხისა და აქვს ლიტერატურა შინაარსით და მიმართულებით მსგავსი ქართულის ლიტერატურისა, მეხუთედ, იგი არს ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ, ხალხის სურვილმა და განგებამ შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევათვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა.

მხოლოდ, რათა ეს შეთვისება იყოს ჩვენთვის სარგო და სასარგებლო, საჭიროა იგი ემორჩილებოდეს ბუნებისა და პედაგოგიის კანონს. გარნა ეს კანონი მოითხოვს, რომ მეორე ენა სახლობაში ისწავლებოდეს მას უკან, როცა ბავშვი გაიმართება დედა-ენაში, დაახლოვებით მეექვსე-მეშვიდე წლიდგან და სკოლაში არა უადრეს მეორე წლისა. თუ ჩვენ ქართველები ჭკუით მოვიქცევით და ამ რიგსა და კანონს არ ვულალატებთ, რუსულის ენის შეთვისება არამც თუ არ ავნებს ქართულს ენას, არამედ ძლიერ დაეხმარება მისს წარმატებასა და აყვავებას. ამ რიგზედ დაყენებული სწავლება ენებისა მოზარდს თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, სახსოვარსაც განუმტკიცებს, შედარებითს ნიჭსაც უვარჯიშებს, რადგანაც ყოველ ნაბიჯზედ უცხო ენას ადარებინებს დედა-ენასთან და უხსნის მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორკეცს ნამდვილ მეტყველობას მიანიჭებს. ამ სანატრელის შედეგისათვის ჩვენ გვმართებს მხოლოდ მტკიცედ ავასრულოთ დედა-ენის, რუსულის და სხვა ენების შესახებ ის მოძღვრება, რომელიც მაცხოვარმა გამოხატა სიტყვებით: „მიეცით ღმერთისა ღმერთსა და კეისრისა კეისარსა“. ძლიერ ადვილია კაცმა წამოროშოს: ხიდს ქვეშ ქართული, ან რუსულიო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მოძრაობა ტუტუცურის ენისა და სულელის ყელისა, მაგრამ ვინც საქმესა სჯის გონებით და სინიდისით და ვისაც სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება სათამაშო ბურთად არ მიაჩნია, და ჰეროსტრატის სახელის მოპოვება უმაღლეს თავის მიზნად არა აქვს, იგი ყოველთვის იტყვის: რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მოუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვანის სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა.

აქ ერთი გარემოება ითხოვს აღნიშვნას. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ბევრად უფრო ძნელია ევროპიელებისათვის. უმთავრესი მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ ჩვენი ენა ძლიერ განირჩევა ევროპიულ ენათგან და ამ უკანასკნელს ენებსკი ახლო ნათესაობა აქვთ ერთმანეთთან. ამიტომ მეტყველობითის მხრით ... ტრონი ქართველი ჭკუით მოიქცევა, თუ ქართულსა და რუსულს გარდა, შეეჭიდება მხოლოდ ერთს რომელსამე ევროპიულს ენასა და ისწავლის მას კარგად, ზედ მიწევნით, ღრმად. სამისა და ოთხის ევროპიულის ენის გამოდგომა ამისთანა პირს არ მოუხდება: ვერც ენებს შეისწავლის ხეირიანად და აზროვნობაც დაუქვეითდება, რადგანაც შინაარსით გამდიდრების მაგიერ სულ ფორმებით გამდიდრებაში იქნება გაბმული. ეს ჩვენი რჩევა, რასაკვირველია, არ შეეხება განსაკუთრებულის ნიჭის პატრონებსა, რომელთაც შეუძლიანთ სრულად შეირგონ რამდენიმე ენა და გონების სიმდიდრესაც ზარალი არ მისცენ. რაც შეეხება დროს, საიდგანაც უნდა იწყებოდეს ევროპიულის ენის სწავლება, ამ დროდ უნდა ჩაითვალოს ის ჟამი, როდესაც ყმაწვილი რუსულს ენაზედ თავისუფლად იწყებს ლაპარაკსა და გაიმართება, რაც მეათე წლიწადზედ ადრე მოულოდნელია. მეტი იქნება ამას დაუმატოთ, რომ როგორც რუსულის ენისა, ისე ევროპიულის ენის სწავლების დროს დედა-ენაში ვარჯიშობა არ უნდა შესწყდეს, რათა ბავშვმა შეითვისოს მთელი სიმდიდრე სამშობლო ენისა და შეიქმნას სრულად მეტყველი არსება.

თუ ჩვენ ერთა ისტორიას გადავათვალიერებთ, იქაც ვპოვებთ დამტკიცებას იმ აზრისას, რომ ზურგის შექცევა დედა-ენისათვის დიდად აზარალებს ხალხსა, აქვეითებს და უკანა სწევს. არა ერთხელ მომხდარა ხალხთა ისტორიულს ცხოვრებაში, რომ მაღალი წოდება რომელისამე მცირე, მეორე ხარისხის ტომისა განზედ გასდგომია დედა-ენასა, უარ-უყვია იგი, აღარ უკადრნია და დედა-ენად დრო-ებით გადმოუქცევია სახელმწიფო ენა, ენა დაწინაურებულ ხალხისა. ამ მოვლენას ვხედავთ, სხვათა შორის, ავსტრიის სლავიანების და ვენგრიის ისტორიაში. იყო დრო, როდესაც ვენგრიის მაგნატები და სლავიანური პანები აღარ კადრულობდნენ დედა-ენას, ათვალწუნებული ჰქონდათ და თავის შვილებს აკვნიდგან ნემეცურს ენაზედ ალაპარაკებდნენ. მერე რა გამოვიდა აქედგან? ამ ვაქპატონებს ეგონათ, რომ თავიანთ შვილებს დააწინაურებდნენ, მაღალის გონების ხარისხზედ აიყვანდნენ, ის-კი არა თუ გონების სისუსტე და სიმახინჯე მოიმკეს. ისტორია ამოწმებს, რომ ეს ხანა ვენგრიელებისა და სლავიანებისა მათ წარსულში იყო სრულიად უნაყოფო, თითქმის ვერც ერთს გამოჩენილის ნიჭის პატრონს ვერ მოსძებნიდით მათ შორის და იმდენად სუსტნი სჩანდნენ გონების ძალით და შნეობით, რომ მათი მომავალი აღარავის სწამდა ...

ნენ. მაგრამ როდესაც ერთნიც და მეორენი მიხედნენ თავის დაცემის მიზეზსა, მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება დედა ენას, სამშობლო ლიტერატურას და ისტორიას, ეროვნულს მილებში დააწყებინეს დენა ევროპიულს განათლებას, მაშინ გაცოცხლდნენ, მოღონიერდნენ, არა ერთი მაღალ-ნიჭიერი პირი გამოიყვანეს საზოგადო ასპარეზზედ, წინ წასწიეს თავისი ცხოვრება და ამ ქამად სავსენი არიან ბრწყინვალე მომავლის იმედით. რუსეთშიაც ვხედავთ მსგავსსავე მოვლენას. უნიჭო სუმაროკოვების, ხერასკოვების, ტრედიაკოვსკების მაგიერ გამოიჩინენ სალიტერატურო ასპარეზზედ გრიბოედოვი, გოგოლი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი, მას შემდეგ, როდესაც მაღალს წოდებაში ფრანცუზულის თაყვანის-ცემა შემცირდა და ჯეროვანი ადგილი მიენიჭა რუსულის ენის და ცხოვრების შეთვისებასა, როგორც ოჯახობაში, ისე სკოლაში.

უფრო კიდევ საგულისხმიერო მაგალითს წარმოგვიდგენს ერთი კუთხე ინგლისის სახელმწიფოსი, სახელდობრ უელსი. უელსს უჭირავს დასავლეთის კუთხე ინგლისის კუნძულისა და იპყრობს დაახლოვებით იმდენს მცხოვრებელს, რამდენსაც საქართველო. უელსელები ჩამომავლობით ძლიერ განირჩევიან ინგლისელებისაგან და ლაპარაკობენ სრულიად სხვა ენაზედ. წინად მათ ზურგი შექცეული ჰქონდათ დედა ენისაკენ, არ ზრუნავდნენ თავისს სამშობლო ლიტერატურაზედ, მოკლეოული იყვნენ ეროვნულს სკოლებს და მხოლოდ ინგლისური სკოლები არსებობდა მათ შორის, და რა შედეგი მოჰყვა ამ უკულმართობას? ის შედეგი, რომ უელსელნი არამც თუ თითონ იყვნენ უვიცნი, ბრიყვნი და ლატაკნი, არამედ თითონ ინგლისის წარმატებასაც ხელს უშლიდნენ, რადგანაც პარლამენტში ჰგზავნიდნენ ძველის წესების დამცველებსა, აბსკურანტებსა, რეტროგრადებსა. მაშინ ინგლისში უელსელები ისე მასხარად ჰყავდათ აგდებული, როგორც ჩვენში მოხისელები და რუსეთში პაშიხონელები... მაგრამ იცვალა დრო. უელსელებმა შეიგნეს თავისი დამღუპველი შეცდომა, მიაქციეს ყურადღება დედა-ენასა, დამართეს ეროვნული სკოლები, მიჰყვეს ხელი სამშობლო ლიტერატურის აღორძინებას, შეადგინეს მრავალი სახელმძღვანელო და სახალხო წიგნები, დაარსეს ჟურნალ-გაზეთები დედა-ენაზედ და ისეთს წარმატებაში შევიდნენ, რომ არამც თუ თავისი საქმე გაიჩალეს, არამედ თითონ ინგლისზედაც, ერთის რუსის მეცნიერის სიტყვით, კარგის ზედ-გავლენის ძალა გამოიჩინეს. აქ ფრიად შესანიშნავია ერთი ფაქტი, სახელდობრ ისა, რომ ინგლისელები, რომელნიც წინად უარ-ჰყოფდნენ უელსელების დედა ენასა და ეროვნობას, ცხადად მიხვდნენ, რომ ეს უარყოფა ორივე მხარესათვის მავნებელია და ამიტომ მხურვალე მონაწილეობის მიღება იწყეს უელსელის ენის და ლიტერატურის შემუშავებაში, აღორძინებაში, ისე, რომ ამ ქამად სახელმძღვანელონი და სახალხო წიგნები, დაბეჭდილნი უელსელს ენაზედ, ნახევრობით დაწერილნი არიან თვით ინგლისელებისაგან.

ჩვენ შევეძლო იგივე აზრი დაგვესურათებინა ერთის მხრით პროვანსის (საფრანეთში) მაგალითით, რომელშიაც სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, სხვათა შორის იმიტომ, რომ პროვანსალური ენა დიდს პატივშია თავისს სამშობლოში და მდიდარი პროვინციალური ლიტერატურა აქვს, და მეორე მხრით ბრეტანის უკან ჩამორჩენით, რაც უმეტეს ნაწილად აიხსნება დედა-ენის უპატიურობით და ადგილობრივ ლიტერატურის უქონლობით. მაგრამ ნათქვამიც ევროპის ცხოვრებიდგან, ვგონებთ, საკმარისია.

მხოლოდ ამას გვინდა დაუმატოთ ისა, რომ ევროპაში შეუნიშნავთ კიდევ ერთი ფრიად სავალალო შედეგი დედა-ენის უარ-ყოფისა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი თაობა, აღზრდილი თავის ენის, ქვეყნის და ისტორიის უვიცობაში და აბუჩალაკად აგდებაში, გულს იცრუებს დედ-მამასა და ნათესავებზედ და ხშირად შვილებრივის სიყვარულის მაგიერ სიძულილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირღვევა ოჯახობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმტკიცისა და წარმატებისა. ამ შემთხვევაში დედ-მამა თავისის უკულმართობის გამო ისევე საშინლად ისჯება, როგორც დაისაჯა შჩედრინის ერთი გმირი, რომელმაც შვილის ბედნიერებისათვის ყოველი სამაგლობა ჩაიდინა და ბოლოს შვილის სიყვარულის მაგიერ მისი ზიზღი და სიძულილი მოიმკო.

ქართველთა ტომთა ცხოვრებაში კიდევ უფრო თვალის ამხელს მაგალითებსა ვხედავთ. თუ რა სანატრელი შედეგი მოსდევს მას, როდესაც ქართული სკოლა წინ უძღვის რუსულს სკოლას ქართველის განათლებაში, ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოგვიდგენს გმირი მეთორმეტე წლებისა სახელოვანი სარდალი ბაგრატიონი. ამ სახელ-განთქმულმა ქართველმა ჯერ ქართული სკოლა საერო და სამხედრო გაათავა და შემდეგ ვაჟკაცობის დროს რუსეთში წავიდა. რუსული ენა მთელს თავის სიცოცხლეში იმდენად ნაკლებად იცოდა, რომ მისი რუსული ლაპარაკი უფრო მტვრევა იყო. გარნა ვისაც შლოსერი და სხვა ისტორიკოსები ყურადღებით უკითხნია, ეცოდინება რა მაღლა აყენებენ ამ სამხედრო ქართველს გმირსა. იგინი უპირატესობას აძლევენ მას ნაპოლეონის თვით უნიჭიერესს მარშლების წინაშე და აღიარებენ, რომ თვით ნაპოლეონსაც საქმეს უჭირებდა ბრძოლის ველზედ და მარჯვედ ეწინააღმდეგებოდაო. ესევე მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ქართული სკოლა, დამთავრებული რუსულის სკოლით, ზრდის ერთის მხრით ძლიერ სიყვარულს სამშობლოსას, მეორე მხრივ ჭეშმარიტს ერთგულებას რუსეთისას.

აქ შეიძლება მკითხველს გაახსოვდეს გამოჩენილი პროფესორი თარხნიშვილი და ჩასთვალოს იგი წინააღმდეგ მაგალითად, რადგანაც იგი პატარაობისავე მოშორდა საქართველოს და აღიზარდა სამშობლო ენის, ლიტერატურის, ისტორიის და საზოგადოდ თვისის ეროვნობის უცოდინარობაში. მაგრამ აქ წინააღმდეგობას ჩვენის აზრისას დაინახავს მხოლოდ აჩქარებული გონება, რომელიც სჯის საგანს ზედაპირის ჩაბეჭდილების მიხედვით და არა სინჯავს საქმეს ყოველის მხრით. მეცნიერი და პედაგოგი იტყვის: უეჭველია თარხნიშვილს ბუნებისაგან ჰქონია მინიჭებული მეტად ძლიერი გონება და ის გონება რომ აღზრდილი ყოფილიყო დედა-ენის გამაცხოველებელ, გაელენის ქვეშ უფრო კიდევ მომეტებულს ძალას, მომეტებულს შემოქმედებითს ნიჭს აღმოჩენდაო.

უფრო კიდევ ხმა-მაღლა ლ ლადებს ამ შემთხვევაში შედარება აჭარლებისა და შავშელ-ერუშელებისა. უკანასკნელნი ძველ-საუკუნეებში განთქმულნი იყვნენ თავისის მამაცობით, გამბედაობით, ვაჟკაცობით და შეადგენდნენ წინა-ბურჯს საქართველოსას. მაგრამ შემდეგში მათ ძალა-ტანებურად უღალატეს ეროვნებას და დედა-ენას, გასცვალეს იგი ოსმალურს ენაზედ და ჩვეულებაზედ, და რა შედეგი მოიპოვეს? ვისაც-კი ბ-ნ ყაზბეგის მგზავრობა წაუკითხნია, ეცოდინება, რომ ეხლა შავშელ-ერუშელები ჟოლად საცოდავნი, მხდალნი და წყალ-წაღებულნი არიან. წინად მათ შორის თვალით უყურებდნენ მეზობელნი, ახლა-კი დაბრიყვებულნი და მასხარად აგდებულნი ჰყავთ. სრულიად სხვა სურათსა ვხედავთ აჭარაში. მართალია, აჭარლებმაც სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად. და დახეთ რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და კაცურის კაცობით არიან შემკულნი!

მაგრამ შორს სად მივდივართ, გარშემო მივიხედ-მოვიხედოთ და უფრო გასაოცარს და საგულისხმო მაგალითებს დავინახავთ. პირველს მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ნასწავლი ქალობა. არც ერთს სხვა ერის ქალების აღზრდაში არ არის ისე სასტიკად და უგუნურად უარ-ყოფილი დედა-ენა და ყველაფერი მშობლიური, როგორც ქართველ ქალების აღზრდა-სწავლაში. მეორე მხრით არსად ნასწავლი ქალობა ისე დაცემულ-დაქვეითებული არ არის, როგორც ჩვენში. გულწრფელად რომ გავტყდეთ, ხუთიოდე მანდილოსანს გარდა, მთელი ჩვენი ნასწავლი ქალობა წარმოადგენს ქარაფშუტა არსებათა გროვას, რომელნიც მოკლებულნი არიან საღს ადამიანურს აზროვნობასა, კეთილშობილს მისწრაფებასა, დამჯდარს ხასიათსა და წამის ჩაბეჭდილებანი მათ ათამაშებენ, როგორც ქარი ბურბუშელას. ქართველმა ქალმა ვერ იჩინა თავი ვერც ერთს მეცნიერებაში, ვერც ერთს ხელოვნებაში, ვერც ერთ საზოგადო საქმეში. ახლანდელი ქართველი ქალი აჩრდილიც არ არის წინანდელ მანდილოსნისა, რომელიც წარმოადგენდა მტკიცე, განსაზღვრულს და მეტად პატივსაცემს ტიპს, აღზრდილსა და დამთავრებულსა ეროვნულს ნიადაგზედ. იგი აგრეთვე ბევრად უკან ჩამოურჩება უბრალო წოდების ქართველს ქალსაც, რომელიც თავის სფეროში ძალაა და არა უძლურება, როგორც პირველი.

ახლა გავიხსენოთ ჩვენი ზოგიერთი არისტოკრატიული გვარეულობანი, საიდგანაც ქართული ენა და ქართული ეროვნება გამოძევებულია, და მივცეთ ჩვენს თავს კითხვა, მოიპოვება ამ გვარეულობათა შორის ამ ქამად ერთი, მაღალის ნიჭის და შესანიშნავის მხნეობის პატრონი? დიოგენის ფარნითაც რომ ეძებო, მათ შორის ვერ იპოვნი ამ გვარს პირს.

მეორე მხრითაც თუ მოვუვლით საქმეს, აღმოჩნდება, რომ ჩვენი მაღალნიჭიერნი მომქმედნი პირნი, რომელნიც ჩვენს ამპარტავნობას შეადგენენ დღესა, რომელთა გაავლეს ჩვენს ცხოვრებაში ღრმა და ნაყოფიერი კვლევა, რომელთა სახელი იხსენიების და იდიდების, ვიდრე ქართველთა ერი იცოცხლებს დედა-მიწის ზურგზედ, გამოვიდნენ იმ სახლობათაგან, სადაც ქართულს ენას და ყველა ქართულს საუნჯეს დიდის პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ. ამასთან იმასაც შევნიშნავთ, რომ თუ ეხლა ჩვენში იპოებიან უცხო ენების მშვენივრად მცოდნენი, ეს გახლავან ის პირნი, რომელთაც პატარაობიდგანვე ქართული ენა ზედ-მიწევნით შეუსწავლიათ და ამ ცოდნაზედ აუშენებიათ რუსულის, ფრანცუზულის, ინგლისურის და ნემეცურის ენების შესწავლა.

(დასასრული იქნება)

## ახალი ამბავი

** ქუთაისი: ჩვენი ქუთაისი ამ ქამად დიდს ამბავშია. დადგა მაისი და ქალაქს მეტი სიცოცხლე და მოძრაობა დაემჩნია, არა იმიტომ-რომ საუცხოვო ცარი დაგვიდგა და მწვანილმა შემოსა ჩვენი კოპწია ქუთაისი და მისი არე მარე, არამედ იმიტომ, რომ დაიწყო ჩვენის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება. სოფლებიდგან დიდ-ძალი ხალხს ველოდებით და, იმედია, კრებაზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრება, რადგანაც წელს განზრახვა აქვთ შესცვალონ ზოგიერთი მუხლი ბანკის წესდებისა, უფრო-კი იმიტომ, რომ წელს კენჭი უნდა იყარონ ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარის ადგილის მსურველთ. მკითხველი აქედგან მიხვდება, რომ ქუთათურები განსაკუთრებით გატაცებულნი ვართ კენჭის ყრით. პირველი სხდომა კრებას ჰქონდა ბანკის დარბაზში 13-ს ამ თთვისას, მაინც და მაინც დიდ-ძალი ხალხი არ დასწრებია, რადგანაც ამ პირველს სხდომაზე უნდა მოესმინათ მოხსენება გამგეობისა და წლიური ანგარიში უნდა გაესინჯათ, და ეს ხომ უფროს-ერთისათვის მაგდენად საინტერესო არ არის. ამ სხდომაზე წაკითხულ იქმნა მოხსენება გამგეობისა და ანგარიშის განხილვა-კი გადიდო მეორე დღისათვის იმ იმედით, რომ შეეძლოს მეტი წევრი დაესწროს სხდომაზედაო. მეორე სხდომა გადატანილ იქმნა თეატრის დარბაზში, რადგანაც მართლაც რომ დიდძალი ხალხი მოაწყდა. 11 საათზე, კრების თავმჯდომარეს ბ-ნ ლ. ტ. ლოლუას სიტყვისამებრ, სხდომაც გაიმართა. უპირველესად ანგარიში უნდა წაეკითხათ, მაგრამ, ბ-ნ კ. ბ. ლორთქიფანიძის სარჩელისამებრ, საზოგადოებამ მოისურვა გამგეობის მოხსენების მოსმენა ქართულად. სანამ კრება ანგარიშის განხილვას შეუდგებოდა, ბ-ნმა ბებურიშვილმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ ამ თერთმეტის წლის განმავლობაში ბანკს დიდ-ძალი ზარალი დაატყდა თავზე და კრებამ უნდა იცოდეს, თუ ვინ იყვნენ მაშინ დამფასებელნი, იცოდეს, ვინ არის მიზეზი ამ უბედურებისა და მიუძღვის თუ არა ამ საქმეში რაიმე დანაშაულ ბანკის გამგეობასაო. თავმჯდომარემ აღუთქვა ცნობების წარდგენა და პასუხის მოხსენება მეორე დღისათვის. ამას შემდეგ კრება ანგარიშის განხილვას შეუდგა. დანარჩენი შემდეგისათვის.

** 14 მაისის ორშაბათისათვის [illegible]

დანიშნული საქალაქო საბჭოს მორიგი კრება არ შესდგა, რადგანაც საკმარისი რიცხვი წევრთა არ დაესწრო.

** ჩვენს არტისტიულს საზოგადოებას უკვე გადუწყვეტია, რომ მომავალ სეზონისათვის ტფილისში იყოლიოს დიდი ფრანგული და მცირე რუსული ოპერა. პირველ ტენორადვე რჩება რემი ვანდერიკი, რომელსაც უკვე ხელი მოუწერია პირობის წერილზედ. რუსის არტისტებ შორის ისევე რჩებიან ქ-ნი ხარუდნაისა და ბ-ნნი ტარტაკოვი და მოლჩანოვსკი. გვიკვირს, ღმერთმანი, ეს რუსული ოპერა კიდევ ჰო, მაგრამ ეს ფრანგულის ოპერის ყოლა რაღად მოჰქონიანებიათ. ნუ თუ ჩვენი არტისტიული საზოგადოება ვერ მოაჰკვიანა ამდენმა უნუგეშო მაგალითმა. ლასალს მშვენიერი დასი ჰყავდა, მაგრამ საზოგადოება ვერ მიიზიდა, კლოდიუსი იყო და, რაც არ იზარალა, არა მოუგია რა. ამ ფრანგულ წარმოდგენაზედ ორიოდე ფრანგის მეტი თითქმის არავინ დადიოდა და ან ვინ იელის, თუ-კი ენა ათასში ერთს თუ ესმის. ვინ ამბობს, ფრანგულ ენის სწავლაც კარგია და ნასწავლის მიერ იმათის არტისტების მოსმენაც, მაგრამ „რაც არ არის—არ არისო", ნათქვამია და იმ ენის სიმღერას მაინც რად გვაკლებენ, რომელიც, ავად არის, თუ კარგად, გვარიანს ნაწილს ესმის.

** გუშინ, ამ თთვის 16, შუაბაზრის ახლოს, ბ-ნ მუნთოევის სახლში, კაცის მკვლელობა მოხდა. მელიმონე აჯი-მაზედ აბდულ-სალამ-ოღლისთან მისულა ლიმონის საყიდლად მაჰმადიანი მამედ-ალი-ჯაფარ ოღლი, რომელსაც სალამ ოღლი მოკლული დახვედრია. ჯაფარ-ოღლის მაშინვე შეუტყობინებია პოლიციისათვის ეს ამბავი. სადილობისას მოკლულის მამადიანის სახლში მოვიდნენ პოლიციის გარდა ბრალმდებელი და სასამართლოს გამომძიებელი. ამ უბედურის მელიმონეს პატარა ოთახი იმ ნაირ ალაგას არის, რომ თუ ლიმონის საყიდლად არ შესულიყო ჯაფარ-ოღლი, ერთი თთვეც გავიდოდა და ვერავინ ვერ გაიგებდა ამ ამბავს. მკვლელს მელიმონესათვის მარცხენა ფერდში დაუცრავს ბებუთი. სახლში ისეთი არეულ-დარეულობა სჩანს, რომ აშკარად სჩანს, მელიმონეს მკვლელთან ჩხუბი ჰქონია. მაგალითად, ყვავილები ფანჯარიდგან ძირს გადმოუყრიათ, ლიმონები დაუფანტავთ და სხვ. ბებუთი, რომლითაც მელიმონე მოუკლავთ, დუქნების ბანზე იპოვნეს, მხოლოდ მკვლელი-კი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

** ტფილისის გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გ. დ. შერვაშიძე გუშინ ყარაიაზიდგან დაბრუნდა ტფილისში.

** გურია: დიდი გვალვა და სიცხეებია ამ ქამად გურიაში, რის გამოც ყანები უხნავ-უთესავი რჩება. მაისის ასეთი უზომო სიცხე და გადაჭარბებული გვალვა აბრეშუმის ჭიასაც ზარალს უქადის და ვენახ-ხეხილებისა და ჯეჯილ-ბაღ-ბახჩებისათვისაც არ არის, რასაკვირველია, სასარგებლო და ხელსაყრელი. თუ ასე გასტანა და ამ ცოტა ხანში ზეცამ თავისის ცრემლებით ამ მოაკურა დედამიწა, ყანების დათესვა ძლიერ დაგვიანდება და წელს ნაგვიანევს მოსავალს უნდა ველოდოთ

*** კოლ. ეკატერინენფელდი: 9 მაისს იაგლუჯიდგან ერთი თათარი რუსტამ ალი-ოღლი სოფელ სარვანიდამ საღამოთი თავის საქონელს მოერეკებოდა შინ. სარკანის ახლოს დაუხვდებიან ორი თავის სოფლელი, ძმანი ყარამან და სულეიმან უსეინ-ოღლები, რომელნიც შურის ძიების გამო საშინლად დასჭრიან თერთმეტ ალაგას ხანჯლით. ცხენს თოფით მოუკლავენ და თვითონაც, იქნება ცოცხალი გადაურჩეო, თავს მოიმკვდარუნებს. მეორე დღეს ცოცხალ-მკვდარს ურმით მომავალი ყიზილაჯლოელი კაცი შეეყრება, დაუდებს ურემზედ და მიიტანს სოფ. სარკანში.

*** იქიდამვე. მეორეესეთი შემთხვევა მოხდა შიგ სოფ. ეკატერინენფელდში. 11 მაისს ძალიან ადრე, ჯერ მზე არ ამოსულიყო, ერთი გერმანელი ეკატერინენფელდის მცხოვრებელი, რომელიც ეკატერინენფელდის კოლონიელებს ტყის ყარაულად ჰყავთ, თითქმის მთლად მოხუცი, ამ გერმანელების ტყეში, მათვე ყანებში მოასწრობს ორს თათარს კაპანაკჩელებს, რომელნიც საქონელს აძოვებდნენ ზემოხსენებულ გერმანელების ტყეში და ყანაც მოეძოვებინათ. დანახვაზედ გერმანელს ყარაულს, ივანე ვალკერს, რასაკვირველია, შეიარაღებულს, უნდა დაირეკოს საქონელი, მაგრამ ეს ორი ახალგაზდა თათარი გაუძალიანდება და მოინდომებენ ვალკერს თოფი წაართვან. წაართმევენ კიდეც და თვით გერმანელს დაუმიზნებენ თოფს, რომელიც წინა ღამის წვიმის გამო დასველებულიყო და ამიტომ არ გავარდება. გერმანელს ჰგონია მომკლავენო და უკანასკნელს სახსარს ლა მიმართავს, რევოლვერს დასცემს ერთს მათგანს, რომლის ტყვიაც, მოხვედრის უმალ გულში, მოჰკლავს თათარს. ამ შემთხვევით ძალიან შეწუხებულები არიან აქაური გერმანელები. ამბობენ, ეს პირველი შემთხვევაა ჩვენის ხელით კაცის კვლისაო.

*** საინგილო: მოგვშორდა ზამთარი და მოგვშორდა ჩვენდა საუბედუროდ. მთელს ზამთრის განმავლობაში არხეინად ვიყავით ჩვენის ქურდბაცაცებისგან, მაგრამ აი დადგა გაზაფხული, შეიფურცლა ტყე და თავისდა-უნებურად იგი შეიქმნა ბუნაგად ყოველ გვარ ავაზაკობისა. ბუნებასთან ერთად ზამთრის ძილისაგან გამოიღვიძეს ჩვენმა გმირებმაც; მოიფშვნიტეს ნამძინარევი თვალები, შეიხმოიხედეს და, როდესაც დარწმუნდნენ, რომ შიში არსაიდამ არისო, შეუდგნენ თავიანთ ხელობას და ლამის აქაურობა აიკლონ. თუ გულ-შემატკივარი ვინმე არ აღმოჩნდა, აიკლებენ კიდეც. ჩვენში მხოლოდ ამას გაიგონებს კაცი: ამა-და-ამას ცხენი ან კამეჩები მოჰპარეს, მეორეს სახლი გაუტეხეს, მესამეს თოფი ესროლეს, მეოთხე მოჰკლეს, გაცარცვეს და, ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენი უბედურება ხდება ამ ბედკრულ ქვეყანაში. აქაური ყოფა-ვითარება უნებლიედ მომაგონებს იგავის სიტყვებს, იმ იგავისას, როდესაც დაჩაგრული გლეხები ბევრის სიარულის შემდეგ მდინარესთან მივიდნენ და „ნახეს, რაც კარგი მათ ნივთი წყაროდგან იყო წაღებულ, სრულებით ყველა მდინარეს თითონ მიჰქონდა შუაგულ“. ამ დღეებში ერთს გლეხს, სოფ. ყორაღნისას, ხარი მოჰპარეს, [illegible]

რონმა ქურდს მიაგნო. წაიყვანა მამასახლისი და მივიდა სოფ. ალიბეგლოში, შეატყობინა აქაურ მამასახლისს. მივიდნენ ქურდისას. საქმე ისე დატრიალდა, რომ საქონლის პატრონს „შინაურულად“, თავისებურად, მოურიგდნენ, მოურიგდნენ იმ პირობით, რომ არ „გამოაშკარაოს“ და... გაისტუმრეს სახლში. რამდენია ამისთანა შემთხვევა, ვინ მოსთვლის.

*** ახალქალაქი (გორის მაზრაშია): აქ გასტეხეს ამას წინად თ. ლ. თარხნიშვილის ზვარში მებაღის სახლი და წაიღეს, რაც რამ დახვდათ შიგ. იმავე ღამეს მოჰპარეს ცხენი ეზოდგან თ. ა. მაღალაშვილს.

*** ოქუმი (სამურზაყანო): ჩვენც ვეღირსეთ აფთიაქს. აგერ ხუთი თთვეა, რაც აქ აფთიაქი დაარსდა და მოქმედობს, მაგრამ რად გინდა, ექიმი არსად არის და არაფერი. უექიმოდ-კი აფთიაქი და წამლები ძალიან მცირე ნუგეშია. ამას წინად საზოგადოებამ შეადგინა განაჩენი და იკისრა, სთხოვოს მთავრობას მისის საკუთარის ხარჯით დაწესდეს ოქუმში ავადმყოფთ მოსასვენებელი 15 კაცისათვის და ეს მოსასვენებელი ებაროთ ნასწავლს მკურნალსა და ბებიას. ვნახოთ, როდის რა იქნება. მანამდე-კი სწორედ გაცარცვეს ქვეყანა ტყუილმა ექიმებმა: დადიან, დაძრწიან, დააქვთ წითელი მიწა, ჯავზი, გუნდა-ლახუსტაკი და ჰყიდიან მამა-სისხლად, ვითომ ავადმყოფობის სამკურნალოდ.

*** თელავი: აქეთ ძლიერ წვიმიანი ამინდებია. თითო-ოროლა მარცვალს სეტყვას გადმოისვრის ხოლმე ათასში ერთხელ. ჭირნახული საუკეთესოა. ვაზს ძლიერ კარგად ასხია. მილდიუს ვებრძვით, რაც შეგვიძლიან. ვენახების წამლობა გაჩაღებულია, მაგრამ თუ ამ მილდიუსთან ერთად ბუნებამაც არ დაგვინდო, თქვენი მტერი იყოს, ჩვენი საქმე იქნება.

*** მკურნალი ელისეევი, რომელიც გაგზავნილ იქმნა პეტერბურგიდამ სპარსეთს ხოლერის ვითარების გამოსაძიებლად, მივა ჯერ ასხაბადს, მერე იქიდამ გაივლის შემასედის უდაბნოს, თეირანს და თავრიზს, შემდეგ გადავა სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვარს, ალადაგის უღელ-ტეხილს და მივა ურმიისა და ვანის ტბის ნაპირად. იქიდამ ჩავა ქერმანშაის და მოსულს, სადაც მძვინვარებს თურმე ამ ჟამად ხოლერა. ხოლერაა აგრეთვე ბაღდადშიაცაო („Рус. Вѣд.“-ი).

*** კიდევ სწვევია უბედურება წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას. ჯერ პირველის ზარალისაგან წელი არა ჰქონდა რიგიანად გამაგრებული, რომ ახლა ეს მეორე ზარალი დაატყდა თავს. 13 მაისს წამოუშინა სეტყვამ, დიდმა სხვილმა სეტყვამ, და გაანადგურა სკოლის ბაგა, ხეხილის საზრდელი ბაღჩა და სკოლის ნათესები. შუშაბანდის შუშები ლუმლისა, რომელიც უფრო ნაადრევისა და ნაზის მცენარეულობისათვის იყო გამართული, სულ ჩაამტვრია და დალეწა ისე, რომ ჩარჩოები-ღა დარჩა. ბევრი სხვა წვრილმანი ზარალიც არის. სულ ათას მანეთზე ნაკლებ არ უნდა იყოს ზარალი. მეტად სწუხდნენ შეგირდები და მასწავლებელნი, როცა ამ სურათს განადგურებისას უცქეროდნენ და ღონე-კი არა ჰქონდათ ეშველნათ, დაე [illegible]

მა მუქთად ჩაიარა. პატარა შეგირდებმა ველარ შეიმაგრეს თავი და გულამოსკვნითა სტიროდნენ. წინამძღვრიანთ-კარ გარდა დაისეტყვა სოფელი გალავანი, ზაქარა კოდორაანთ-კარის და ნაედარაანთ-კარი. ყველა ამ სოფლების ზარალი 10,000 მანათამდე იქნებაო, ამბობს გაზ. „ნოვოე ობოზ.“-ი.

*** ამას წინად „Од. Вѣст.“-ში ეწერა, რომ ალექ. თუნიევმა-კი არ მიიღო დიდი ჯილდო ოქროს მენდალი უკანასკნელს გამოფენაზე პარიჟში, არამედ შაჰ-ბუდაგოვმაო. ეს ამბავი გაუმობექდა გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ემაც, მაგრამ შემცდარი კი აღმოჩნდა. ბ-ნს ალ. თუნიევს წარუდგენია ზემოხსენებულის რედაქციისათვის ნამდვილი დიპლომი და საბუთი, რომ დიდი ჯილდო სწორედ იმას მიუღია.

*** პოლიციის მერვე ნაწილში, მაისის 15, ღამით, ტფილისის მცხოვრებელის მიხეილ შაფრანოვის დაუკეტავის სადგურიდგან მოიპარეს სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთეულობა 152 მანათისა. იქვე იყო დიდ-ძალი სტოლის ვერცხლეულობა, მაგრამ ქურდს იმისთვის ხელი არ ეხლო. ეჭვი ჯერ არავისზე არ მიუტანიათ. ქურდსა და ნაქურდალს დაეძებენ.

## წერილი სუჯუნიდამ

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენი სუჯუნა მთავრობისაგან დაბად იქმნა დამტკიცებული, თანხმად საქალაქო დებულებისა. დაბა ქალაქის მცხოვრებთ კანონით ზოგიერთი უპირატესობა აქვთ მინიჭებული და ამის გამო ჩვენში ბევრი გამოჩნდა მსურველი დაბა სუჯუნის მცხოვრებად ჩაწერისა. ჩაეწერნენ ებრაელები, აქაური ქრისტიანე მოვაჭრენი და აგრეთვე 30-მდე სოფლის გლეხნი თვის ოჯახობით. დაბის და მის მცხოვრებთა საქმეებს განაგებენ რამდენიმე ამორჩეულნი კაცნი, რომელთაც აქ დეპუტატებს ეძახიან. ეს უკანასკნელნი მოქმედობენ ადგილობრივ პოლიციის ბოქაულის ჩვენებით და ხელ მძღვანელობით.

ჩვენი დაბა სუჯუნის საზოგადოების შუა გულ ადგილას მდებარეობს, მაგრამ კანონით ამ საზოგადოებასთან თითქმის საერთო არა აქვს-რა. სხვა საქმისა არ ვიცი და ხსენებულ სოფლის საზოგადოების მიერ დაარსებულის ორ კლასიანის სკოლის შენახვაში-კი მონაწილეობის მიღება დაბის მცხოვრებთათვის ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს; მით უმეტეს, რომ ეს სკოლა შიგ დაბაშია გამართული და კარგა მალ ფულს ჰმატებს აქაურ მოვაჭრეებს; ამ უკანასკნელთათვის, ე. ი. ვაჭართა და მცხოვრებთათვის სკოლა მიუცილებელი საჭიროებაა. შვილის სკოლაში მიცემის მსურველი არა მცირედია მათ შორის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კანონით გარეშეთა მიღება სკოლაში მხოლოდ მაშინ შეიძლება, ისიც ფასით—წლიწადში 6 მან., 50 კაპ., როდესაც სკოლის დამფუძნებელთ თხოვნა უმაწვილების მიღებისა სრულიად იქნება დაკმაყოფილებული, რაიცა ძლიერ იშვიათად ხდება, რადგან მსურველი მრავალია. ერთის მხრით ადგილის უქონლობა, მეორეს მხრით სიღარიბე აბრკოლებს ყველა მსურველს სკოლაში შესვლისას.

დღეს აქამომდე ამ გვარ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან აქაური მკვიდრნი. ეხლა, ამ უკანასკნელ დროს, ჩვენდა სასიამოვნოდ ამ ზემოხსენებულ გარემოებას გონების თვალით დაჰკვირებიან აქაური მოთავე კაცები, როგორც [illegible]

სავთ აღმოუჩინონ ადგილობრივ ორ კლასიანს სკოლას შემწეობა, მით რომ მისთვის ახალ შენობის ასაგებად ხუთასი მანეთი შესწირონ და ითხოვონ, რომ მათი შვილები მიღებულ იქმნან სკოლაში, თანასწორ სკოლის შემნახველთ შვილებისა, მცირედის წლიურის ფასით. ერთი ნაწილი დაბის შემოსავლისა, თანახმად არსებულ კანონისა, მისსავე საჭიროებას უნდა მოხმარდეს. ეხლა დაარსებიდამ ჩვენს დაბას მოჰგროვებია, როგორც მითხრეს, ოთხი ათას მანეთამდის და ინახება ადგილობრივ სამაზრო ხაზინაში. სკოლის და სხვა დაბის საჭირო საქმეებისათვის ჰსურთ აქაურებს ამ წყაროდამაც მიიშველიონ რამდენიმე ფული, რადგან მაგგვარ საქმეებისთვის არის დანიშნული. და ამ საქმეში დაბის მცხოვრებთ დიდი იმედი აქვთ დახმარებისა აქაურის მთავრობისაგან.

ღმერთმა ჰქმნას, რომ დაბის მცხოვრებთ უეჭველად თავისი იმედი გაუმართლდეთ და მათი კეთილი განზრახვა მალე საქმედ გადაიქცეს.

კ. თეკლათელი

## გასართობი ცნობანი.

„Наука и жизнь“-ში შემდეგი საინტერესო ცნობაა მოყვანილი ცურვის შესახებაც.

ყველაზე უფრო იმას უნდა სცდილობდეს მცურავი, რომ ფილტვები არ დაიღალოს. ამიტომ უნდა ერიდოს ხშირ-ხშირად სუნთქვას და ნელ-ნელა, მაგრამ მძიმედ უნდა სუნთქავდეს. ყველამ იცის, რომ როდესაც კაცი ძალიან მოძრაობს, მაშინ ფილტვები ადვილად ეღალება და ამას შემდეგ მთელის სხეულის დაღალვაც მოჰყვება ხოლმე, და თუ ფილტვები არ იღალება, მაშინ კაცი სირბილს, ცურვასა და სხვა ამ გვარს ჩქარს მოძრაობას დიდხანს ვერ გაუძლებს. მაშასადამე ცურვის დროს ტყუილა-უბრალო შეუპუნითა და ფეხებისა და ხელების ქნევით გულ ფილტვი არ უნდა მოიღალო. უნდა ეცადო, იცურო აუჩქარებლად, მშვიდად, ნელა. „მხარული ცურვა“ არ კარგა, რადგანაც ფილტვები მალე იღალება და ამიტომ მთელი სხეულიც იქანცება. არ კარგა აგრეთვე არც ბაყაყური, რადგანაც ხელ ფეხების უსაფუძვლო პარტყუნში ბევრი ღონე იკარგება ტყუილა-უბრალოდ. ამას გარდა, რადგანაც თავი მუდამ მაღლა უნდა გეჭიროს აწეული სულის მოსაბრუნებლად, კისერი მალე მოგწყდება და წყალში ჩაიყურყუმელავებ. ყველას სჯობს „მაღლისებური ცურვა“, მაგრამ ამასაც ის ნაკლულევანება აქვს, რომ ცხვირპირი მაინც წყლისაკენა გაქვს დაშვერილი და თავი კიდევ მაღლა აწეული. ამის ასაცილებლად კარგია ცალ გვერდზე დაწოლა ისე, რომ წყალზე მხოლოდ ცალი ყური გქონდეს დადებული (ეს ყურიც ბამბით უნდა დაიცვა). ამასთანავე თითები უნდა ერთმანეთს მიატყუპო და ისე მოუსვა ხელი წყალს: ბატი კარგად სცურავს იმიტომ, რომ თითსა და თითს შუა აპკი აქვს და ფეხებს ნიჩაბივით უსვამს. რადგანაც ქათამს ფიწალივითა აქვს თითები დაყოფილი, ამიტომ იმის ფეხებს წყალი არ ხვდება და ცურვაც არ შეუძლიან. უბრალო მაგალითითაც შეიძლება ეს აზრი დავამტკიცოთ. ნავს ფიცრით ერთ ალაგიდამ ვერ დასძრავ და ნიჩბით ხომ საცა გინდა წაიყვან. აგრეთვე თუ ხელის თითები გაშარჩეე, ხელების ქნევა ტყუილ-უბრალოდ გამოგიღლევს მალ ღონეს და დაგღალავს და ერთ ალაგიდამ კი ფეხს ვერ მოიცვლი. ძალიან სასარგებლოა

ნი, რომელსაც ხელის გულისკენ პირი გამოჭრილი აქვს და ხელის ზურგისკენკი ქაღამანივით გაცვია. ამ ხელთათმანის საშუალებით წყალს ნიჩაბივით მოუსვამ ხელს და ცურვა ძალიან გაგიადვილდება. თუმცა მაინცა-და-მაინც დაიღალე, მაშინ წყალზე დაწექი, მძიმედ ამოისუნთქე, რომ არ დაგძირდეს, მოისვენე და მერე ისევ გვერდზე დაწექი და იცურე. ვინც ამ დარიგებას მიიღებს, ის ადვილად ისწავლის ცურვას და წყალში აღარასოდეს აღარ დაიხრჩობა.

— იქვე გვითხულობთ ექიმი ნ. პარფიანოვიჩი იუწყება, რომ კალუგაში ერთი კაცი უეცრად გარდაიცვალაო. ამის მიზეზად ავტორს მიუცდია რვალის შუბი მიაჩნია: საწყალს გარდაცვლილს თურმე ერთი შუა ცხვირში უნახეს, ერთი პირში, ერთი კუჭში და ოთხი წლებში. გარდა ამისა ოთხი შუა ზედ სასულე ყელთან მოკეცილიყო, დაეხურა ჰაერის ჩასასვლელი ადგილი და ამ ნაირად გაეგუდა კაცი. საუბედუროდ, ბევრი ამ ჭიით ავადმყოფი არავითარს ყურადღებას არ აქცევს თავის თავს, თუმცა კი ყოველს ექიმს შეუძლიან ახლა სრულიად განათავისუფლოს კაცი ამ ავადმყოფობისაგან.

— პროფესორი ვირხოვი ამტკიცებს, რომ კარსეტები და ზონრები ღვიძლს უფუჭებს ქალსაო. ღვიძლი იმდენად იცვლება, რომ სრულიად ჰკარგავს თავის გარეგან სახეს და ხშირად მთელი ნაწილები სრულიად უქრება, უქარწყლდება. გარდაცვლილ ქალს რომ ღვიძლი გაუსინჯო, ადვილად შეატყობ, თუ რა მოდა სცოდნოდა იმის დროსაო. რასაკვირველია, რომ ამ ნაირად გაფუჭება ღვიძლისა ძალიან მძიმე უჯდება ქალს და ცუდი გავლენა აქვს მთლად იმის სხეულის აგებულებაზეო.

— ყოველმა ამბავმა ან ბაღის პატრონმა იცის, რომ ვარდს ხშირად გაუჩნდება ხოლმე ერთ ნაირი თეთრი სოკო, რომელიც ობობას ბადესავით მოედება ხოლმე ფოთლებსა და შტოებს და ბოლოს სრულიად ახმობს ვარდის ბუჩქს. ამის წამალი აი რა არის. ჯერ დაავადმყოფებული შტოები უნდა მოაცალო ბუჩქს, რომ სენი მთელს შტოებსაც არ გადაედოს. შემდეგ ჩაყარე თამბაქო წყალში და რამდენიმე ხანი შეინახე. აიღე ორი ჭიქა ამ ნაირად გამონადები წვენი, შიგ ჩასხვარი გირვანქა გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) ჩაყარე და აურიე, შემდეგ ერთს ჩაფ წყალში გახსენი ასე მომზადებული წამალი და ბოლოს სასხურებელით ან რამე სხვა მაშინით შეასხი ვარდს. ორჯელ ან სამჯერ პკურესების მეტი არ დასჭირდება და ვარდი უთუოდ მორჩება.

## დეპეშა

14 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უღვლად მოწყალედ უბოძა ყიზღის ცეცხლის გამო დაზიანებულთ თავის საკუთარის ფულიდგან 10,000 მან. იმავ დაზიანებულთ უმაღლესად ნება აქვთ დართული სესხად აიღონ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან 5,000 მან.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ შემუშავებულ იქმნა დაწვრილებითნი წესნი სახელმწიფო ხაზინის ხარჯით სამრეწველო სასწავლებლების დაარსებისა, რათა ხელი მოემართოთ შინად-მრეწველთ; ნება-დართულია გაჰმართონ მოძრავი სანიმუშო გამოფენანი და სახელოსნონი; მართებლობას სენატის მიერ გამოც

მეუღლეთ, თუ ამ გაგზავნილთ კიდა სასჯელისა გაუტარებიათ, ხოლო საზოგადოებას უკანვე არ დაუბრუნებია და არ მიუღია, ნება ეძლევათ, არამც თუ პაპიროზები მიიღონ ქმრის ნებადაურთველად, არამედ მეორე ქმარი შეირთონ კიდეც.

«Новости» ამბობს, რომ კერძო ეკონომიურს საზოგადოებაში წინადადებაა შეტანილი, გაიმართოს მოძრავი გამოფენა იმ სამეურნეო იარაღისა და მანქანისა, რომელიც-კი გლეხობისთვის გამოსაყენებელია.

მოსკოვი. გუშინ საღამოს მობრძანდა აქ მემკვიდრე პრინცი იტალიისა და რკინის გზის სადგურზედ პრინცს მიეგებნენ გენერალ-გუბერნატორი, სხვანი წარჩინებულნი და საპატიო ყარაული. პრინცი კრემლის სასახლეში დაბინავდა.

პოტსდამი. გუშინ იმპერატორი მემკვიდრე პრინცით მენინჯენელითურთ ერთცხენიანის ეტლით ნავთ-საყუდლისკენ წაბრძანდა. ცხენმა, რომელსაც თვით იმპერატორი ჰმართავდა, ეტლი მოიტაცა; იმპერატორი გადმოხტა და მარჯვენა ხელზე დაეცა; პრინციც გადმოვარდა; ორივენი დაუზიანებლად გადარჩნენ.

ვენა. აქ მობრძანდა ჩერნოგორიის მთავრის მეუღლე მილენა. იმპერატორი სადარბაზოდ იყო მთავრინასთან.

ლონდონი. დილლო ო'ბრაიანი და ირლანდიის ზოგიერთნი დეპუტატნი გუშინ სცდილობდნენ ტიპერარში დემონსტრაცია მოეხდინათ, მაგრამ ამაოდ იქმნა. პოლიციამ ჯოხით გაჰფანტა თავ-მოყრილნი. დაჭრილი ბევრია.

ბერლინი. პოტსდამიდგან იუწყებიან, რომ გუშინ ეტლიდგან დაცემისას იმპერატორ ვილჰელმმა დაიშავა მარჯვენა ფეხი, დაჟეჟვისაგან ფეხი დაუსივდა და ამ გარემოებამ იმპერატორს ხელი შეუშალა დღეს სამოსწავლო ქვეითა ბატალიონის დაარსების დღესასწაულს დასწრებოდა.

სოფია. სასამართლოს წარმოება პანიცის შესახებ შაბათს იმითი დაბოლოვდა, რომ გაათავეს კითხვა წერილებისა და დეპეშებისა.

15 მაისი

პეტერბურგი. მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინების დღეს ისაკის ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული.

დამსახურებულს პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტისას ჩიჩუნაშვილს რომელიც ამ დღეებში დღესასწაულობდა თავის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოც და-ათის წლის შესრულებას, ებოძა ტაინი სოვეტნიკობა.

„Прав. Вѣст.“ სწერენ დეპეშით ტობოლსკიდგან 13 მაისს: „ახირებული გაზაფხულია: აქამდე სიცივეები და ხშირი ნამქერი დგას; მინდორზედ თოვლი გაუმდნარია; ბირუტყვი და ოთხ ფეხი საქონელი უსაკვებეობით იღუპება. დღეს ქალაქში ლიტანიით პარაკლისი გადაიხადეს, რომ უფალმა სითბო მოგვმადლოს და მოსალოდნელს განსაცდელს აგვარიდოსო.

„Нов. Вр.“ ამბობს, რომ ამ წლის დამლევს პეტერბურგში განზრახვა აქვთ ნავოსნობის გამოფენა გაჰმართონ

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ნება-დართულია ყველა დამოყნაში დაარსდეს საექსპერტო კომისია ფაბრიკათა და მოვაჭრეთა წარმომადგენელთაგან. აგრეთვე უკვე საბოლოოდ შემუშავებულია ახალი სადამოყნო წესი, რომლის წყალობითაც საქმეთა წარმოება უფრო მარტივი იქნება და კონტრაბანდათ რიცხვიც შემცირდება.

ბურგასი. გუშინ დაიწყო სიარული ახალმა რკინის გზამ იამბოლიდგან ბურგასამდე.

სოფია. პანიცის საქმის შესახებ ბრალმდებელმა უკვე დაიწყო თავისი გამამტყუნებელი სიტყვა. ეს სიტყვა ხვალამდისაც გასტანს.

ბერლინი. იმის გამოისობით, რომ ფეხი ნაღრძობი აქვს, იმპერატორი ვილჰელმი იძულებულია რამდენსამე დღეს მოსვენებით იყოს.

16 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ვიდრე ცალკე კანონი გამოვიდოდეს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრის ნებართვით შეიძლებოდეს მიღება კერძო ვექილისა სამაზრო კრებაზე იმათგან, ვინც ქრისტიანობის სარწმუნოებისა არ არის.

ბერლინი. საქმის გარემოების მცოდნეთა-შორის ბერლინში არა იციან რა იმის შესახებ, ვითომ აპირობენ რუსეთის ქვეშევრდომთათვის ზრუნვა ბოლგარიაში მიენდოს საფრანგეთის წარმომადგენლებსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მაისი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | | „ | 6 | 97 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | | „ | 139½ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 08 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა | 213 | | — | „ | — | „ |
| —მესამისა | — | „ | — | „ | 213 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | 99 | 37 |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | 99¼ | |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 86½ | | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა უოკელ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი


გენერალი დიმიტრი გიორგის ძე თავ. ერისთავი რკინის გზის ახლო სტ. მიხაილოვსა და სოფელს ოსიაურში ჰყიდის ორი ათასს ფუთს სიმინდსა და ოთხი ათას ფუთს პურსა. მსურველს შეუძლიან მიბრძანდეს და ფასზე მოვურიგდებით.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისის გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება

გოლოვინის პროსპექტზედ, როტინოვის სახლებში, ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის სამართველოში.

ქიტესა

მოთხრობა

ანტონ ფურცელაძისა

ფასი 15 კაპ.


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1890 წლის 15 აპრილისთვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ-ქონებათა გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია საკრებულოს სახჭოს 1887 წლის 15 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1890 წ. დასაფასებელ სიაში შეტანილია ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულობა, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 32 377,576 მან., და ამავე 1890 წ. ახალი გასანაწილებელი დამტკიცებული ჯამი არის 46,618 მან. 26 კაპ., მაშასადამე ამ ახალის გადასახადის რაოდენობა იქნება:

| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | |
|---|---|---|---|---|---|
| მან. | მან. | კაპ. | მან. | მან. | კაპ. |
| 100.000 | 143 | 98 | 900 | 1 | 30 |
| 80.000 | 115 | 19 | 700 | 1 | 01 |
| 50.000 | 71 | 99 | 500 | „ | 72 |
| 30.000 | 43 | 20 | 300 | „ | 43 |
| 15.000 | 21 | 60 | 100 | „ | 14 |
| 10.000 | 14 | 40 | 80 | „ | 12 |
| 8.000 | 11 | 52 | 50 | „ | 07 |
| 6.000 | 8 | 64 | 40 | „ | 06 |
| 4.000 | 5 | 76 | 30 | „ | 04 |
| 2.000 | 2 | 88 | 10 | „ | 01 |
| 1.000 | 1 | 44 | 5 | „ | 01 |

მაგალითი: ამ გვარად, 8,745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—12 მან 60 კაპ. (8000 მ.—11 მ. 52 კ., 700 მ.—1 მ. 1 კ, 40 მ.—6 კ. და 5 მ. 1 კ. სულ 12 მ. 60 კ); 56635 მან. დაფასებულს მამულს—81 მ. 11 კ (71 მ. 99 კ.+8 მ. 64 კ +43 კ.+1 კ.), ე. ი. ახალი გადასახადი ცოტათი ნაკლებია ქალაქის დასაფასებელ გადასახადის ⅕ ზედ.

უძრავ მამულების ახალ გადასახადსა და ქალაქის დასაფასებელ გადასახადს შორის ის განსხვავებაა არის, რომ ახალი გადასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მეოფ ცალიერ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის განაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზის“ 114 № ში).

2) იმ მცირე ფასიან მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება. (გასანაწილებელ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1890 წ.—175 მან.)

3) იმ სახელმწიფო მამულებს, რომელსაც შემოსავალი შემოაქვს. რადგან ქალაქის საბჭო უკვე შუამდგომლობს, რომ 1888 წ. გადასახადი ნაწილ ნაწილად ხუთის წლის განმავლობაში იყოს გადახდილი ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: უძრავ-ქონებათა პატრონებს ერთად 1890 წლის გადასახადთან გამოერთვათ მხოლოდ ⅕ ნაწილი 1888 წ. გადასახადისა, როგორც მაჩშან იყო, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ან აგირავებენ ან ჰყიდიან თავიანთ მამულებსა.

უფრო დაწვრილებითი ცნობის მეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდიდგან გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვადის ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დაამტკიცებს თუ არა ამ განაწილებულ სიას, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ-ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელზედაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახადი გაეწერა (1—1)


სასტუმრო

„პურ-ღვინო“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბის ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითოეულად 12 შაური. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისივე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადლესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეტები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ა ეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო. (25—19)